საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მინიჭების შესახებ

1. საფუძველი და მიზანი

1.1. დებულების მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მინიჭების პროცესში ბაფის მიერ მიღებული განათლების სტანდარტით მოთხოვნილი წესების დაცვას.

1.2. დებულება შემუშავებულია ბუღალტერთა პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მოტივით.

1.3. დებულება ეფუძნება ბაფის განათლების სტანდარტებით დადგენილ ნორმებს.

1.4. დებულებაში გათვალისწინებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ მიღებული განათლების საერთაშორისო სტანდარტებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ მიღებულ პროფესიონალ ბუღალტერთა კვალიფიკაციისათვის ეროვნული მოთხოვნების დებულებები.

2. ტერმინების განმარტება

დებულების მიზნებისათვის ქვემოთ მოტანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ადმინისტრატორი - პროფესიული განათლების კომიტეტის მიერ გამოცდის ზედამხედველად შერჩეული პირი (პირები);

პირველი დონის სერტიფიკატი - სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მის მფლობელს დამთავრებული აქვს გაერთიანებული სამეფოს სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ადაპტირებული ქართული პროგრამის საწყისი მოდული.

მეორე დონის სერტიფიკატი - სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მის მფლობელს დამთავრებული აქვს გაერთიანებული სამეფოს სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ადაპტირებული ქართული პროგრამის დახელოვნების მოდული;

გამოცდის ადმინისტრირება - გამოცდის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა;

განათლების სტანდარტი - IFAC -ის პროფესიონალი ბუღალტრის საერთაშორისო განათლების სტანდარტის ბაზაზე ბაფის მიერ მიღებული პროფესიონალი ბუღალტრის განათლების სტანდარტი;

ინსტიტუტი - ბაფის მიერ დაფუძნებული პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი ან სხვა უმაღლესი სასწავლებელი, რომელთანაც ბაფს გაფორმებული აქვს მემორანდუმი, კანდიდატების მომზადების თაობაზე;

კანდიდატი - ბაფის ასოცირებული წევრი, რომელიც ჩართულია ბაფის პროფესიული სერტიფიცირების წინასაკვალიფიკაციო პროგრამაში;

მთავარი სპეციალისტი - საწარმოს მთავარი ბუღალტერი ან საწარმოს ბუღალტერი, რომელიც საწარმოს ხელმძღვანელის წინაშე თანამდებობრივად ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე, აუდიტორი - აუდიტურ ფირმაში ან დამოუკიდებელი აუდიტორი;

ნაშრომი - ტესტებზე პასუხის გასაცემად კანდიდატის მიერ საგამოცდო რვეულში წერილობითი ნამუშევარი;

ნაშრომის აუდიტი - გასწორებული და შეფასებული ნაშრომის განმეორებითი შემოწმება;

პრეტენდენტი - პირი, რომელიც სურვილს გამოთქვამს, ჩაერთოს ბაფის პროგრამაში პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მოსაპოვებლად;

პროფესიონალი ბუღალტერი - განათლების სტანდარტისა და ამ დებულების შესაბამისად პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატის მფლობელი ბაფის ნამდვილი წევრი;

პროფესიული შესაძლებლობა - პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარის, პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ერთობლიობა;

პროფილი - კანდიდატის მიერ დაკავებული თანამდებობა. კერძოდ: ბუღალტერი, აუდიტორი, აუდიტორის ასისტენტი, ფინანსისტი, ფინანსური მენეჯერი, ეკონომისტი;

სათანადო განათლების დიპლომი - უმაღლესი ეკონომიკური განათლების დიპლომი (სერტიფიკატი) ან ინსტიტუტის დამთავრების სერტიფიკატი;

სერტიფიცირება - დადასტურება იმისა, რომ განსაზღვრული მომენტისათვის ბაფის წევრს გააჩნია მისი პროფესიული მომსახურების სფეროსათვის დადგენილი გარკვეული საკვალიფიკაციო (პირველი დონის, მეორე დონის ან პროფესიონალის) კომპეტენცია;

სტაჟიორი - კანდიდატი, რომელიც პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მანერის შესაძენად სტაჟირებას გადის ბაფის მეთვალყურეობით;

სტუდენტი - კანდიდატი, რომელიც, ბაფის განათლების პროგრამის ფარგლებში, პროფესიონალი ბუღალტრის ცოდნას ეუფლება ინსტიტუტში;

ტესტი - კანდიდატის მიერ შეძენილი პროფესიული ცოდნის შესაფასებლად გამოყენებული საგამოცდო მასალა;

შემფასებელი კომისია - ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტის მიერ შერჩეული და აღმასრულებელი დირექტორის მიერ დაქირავებულ პირთა ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს კანდიდატთა ცოდნის შეფასებას;

წინასაკვალიფიკაციო პროგრამა - პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის განმსაზღვრელი პროგრამა, რომელიც გულისხმობს პრეტენდენტის შერჩევას, მისთვის წინასაკვალიფიკაციო ცოდნის, პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მანერების შეძენაში ორგანიზებულ დახმარებას და მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შეფასების უზრუნველყოფას;

მენტორი - ბაფის მიერ სტაჟიორისათვის მეთვალყურედ დანიშნული პირი.

3. წინასაკვალიფიკაციო პროგრამაში ჩართვა

3.1. წინასაკვალიფიკაციო პროგრამაში ჩართვის უფლება აქვს პრეტენდენტს, თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე პირობას:

ა) აქვს უმაღლესი ეკონომიკური განათლება;

ბ) აქვს უმაღლესი არაეკონომიკური განათლება და განზრახული აქვს პროფესიონალი ბუღალტრის ცოდნის მიღება ინსტიტუტში;

გ) სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში მეორე კურსის მეორე სემესტრზე, ან/და ზედა კურსზე და განზრახული აქვს პროფესიონალი ბუღალტრის ცოდნის მიღება ინსტიტუტში;

დ) სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში მეორე კურსზე და მეორე სემესტრის დასაწყისში გადაწყვეტს, პროფესიონალი ბუღალტრის ცოდნის მიღება ინსტიტუტში დაიწყოს წიგნით "ბუღალტერი ბიზნესში";

ე) ფლობს პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის ან მასთან გათანაბრებულ დიპლომს (ნებისმიერი პროფილით).

3.2. წინასაკვალიფიკაციო პროგრამაში ჩართვის მიზნით, პრეტენდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს ბაფის პროფესიული განათლების კომიტეტს.

3.3. განცხადებასთან ერთად, პრეტენდენტი პროფესიული განათლების კომიტეტს წარუდგენს:

ა) განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ან ცნობას უმაღლესი სასწავლებლიდან;

ბ) შრომითი წიგნაკის ფოტოასლს;

გ) პირად ანკეტას;

დ)2 ცალ ფოტოსურათს (3X4).

3.4. პრეტენდენტებთან გასაუბრებას აწყობს და წინასაკვალიფიკაციო პროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული განათლების კომიტეტი.

3.5. პრეტენდენტებთან გასაუბრება და კანდიდატებად რეგისტრაციაში გატარება ხდება წელიწადში ორჯერ: თებერვალსა და სექტემბერში.

4. წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნა

4.1. პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მინიჭებამდე კანდიდატმა უნდა შეასრულოს განათლების სტანდარტის მოთხოვნები და მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ დაიმსახურა პროფესიონალ ბუღალტრად აღიარება.

4.2. კანდიდატს მოეთხოვება აჩვენოს, რომ გააჩნია:

ა) ზოგადი განათლება, რომლის გარეშე შეუძლებელია ბუღალტერს ჰქონდეს ფართო თვალსაწიერი, უნარი იმისა, რომ ეფექტურად იაზროვნოს და ჩამოაყალიბოს თავისი აზრი, შეძლოს აბსტრაქტული, ლოგიკური მსჯელობა და კრიტიკული ანალიზი;

ბ) ორგანიზაციულ-სამეურნეო განათლება, რომელიც ბუღალტერს ცოდნას აძლევს ბიზნესის, მართვის, მარკეტინგის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, უნვითარებს კომუნიკაციისა და ურთიერთობის უნარ-ჩვევებს;

გ) განათლება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც ბუღალტერს უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენების ცოდნითა და უნარ-ჩვევებით;

დ) ბუღალტრული აღრიცხვისა და მომიჯნავე დისციპლინების ცოდნა, რომელიც პროფესიონალი ბუღალტრის წარმატებული კარიერისათვის აუცილებელი პირობაა.

4.3. კანდიდატს პროფესიული გამოცდილების შედეგად გამომუშავებული უნდა ჰქონდეს:

ა) ანალიტიკური აზროვნება, რომელიც მას დაეხმარება რთულ ორგანიზაციულ სიტუაციაში იმოქმედოს ლოგიკურად და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება;

ბ) კავშირ-ურთიერთობის ჩვევა, რომელიც მას დაეხმარება სხვა მომუშავეებთან თანამშრომლობაში;

გ) კომუნიკაციური ჩვევა, რომელიც მას დაეხმარება ინფორმაციის მიღებასა და გადაცემაში.

4.4. პროფესიული ფასეულობების თვალსაზრისით, კანდიდატს მოეთხოვება:

ა) იყოს პატიოსანი, ობიექტური და დამოუკიდებელი;

ბ) ემორჩილებოდეს შესაბამის პროფესიულ ნორმებს;

გ) ცნობდეს ბაფის ეთიკის კოდექსს;

დ) მუდმივად ზრუნავდეს თავისი კვალიფიკაციის დონის ამაღლებაზე.

4.5. კანდიდატი რეგისტრაციის პირველივე დღიდან ხდება ბაფის ასოცირებული წევრი და ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს წევრობა.

5. კანდიდატის მომზადება გამოცდებისათვის

5.1. კანდიდატი გამოცდებისათვის ემზადება დამოუკიდებლად, ან ინსტიტუტში ბაფის მიერ დადგენილი სასწავლო პროგრამის მიხედვით.

5.2. სასწავლო პროგრამა და მასალა ეფუძნება გაერთიანებული სამეფოს ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) პროგრამასა და წიგნებს.

5.3. კანდიდატი ემზადება და გამოცდებს აბარებს შემდეგ წიგნებში:

<u>საწყისი მოდული (პირველი დონე)</u>

1. F1. ბუღალტერი ბიზნესში
2. F2. მენეჯერული აღრიცხვა
3. F3. ფინანსური აღრიცხვა

<u>დახელოვნების მოდული</u> (მეორე დონე)

4. F4 ქართული ბიზნესსამართალი (ყოფილი 2.2)
5. F5 საქმიანობის შედეგების მართვა 1
6. F6 საგადასახადო დაბეგვრა (ყოფილი 2.3)
7. F7 ფინანსური ანგარიშგება (ყოფილი 2.5)
8. F8 აუდიტი და მარწმუნებელი საქმიანობა 1 (ყოფილი 2.6)
9. F9 ფინანსური მართვა 1 (ყოფილი 2.4)

<u>პროფესიული სწავლების ეტაპი (მესამე დონე) ძირითადი მოდული</u>

10. P1 კორპორაციული მართვა, რისკი და ეთიკა (ყოფილი 3.3)
11. P2 კორპორაციული ანგარიშგება (ყოფილი 3.6)
12. P3 ბიზნესანალიზი (ყოფილი 3.5) შესარჩევი მოდული
13. P4 ფინანსების მართვა 2 (ყოფილი 3.7)
14. P7 აუდიტი და მარწმუნებელი საქმიანობა 2 (ყოფილი 3.1)

5.4. წიგნები ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში და აუდიტში, ასევე მათი საგამოცდო ტესტები ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს.

5.5. ინსტიტუტში სწავლის გარეშე, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს 3.1. პუნქტის "ა" ქვეპუნქტის პირობებს.

5.6. არაეკონომიკური ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე კანდიდატები გამოცდებისათვის ემზადებიან ინსტიტუტში. მათ პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მინიჭებამდე უნდა მოიპოვონ სათანადო განათლების დიპლომი (სერტიფიკატი).

5.7. 5.3 პუნქტში მითითებული წიგნი - "ბუღალტერი ბიზნესში" - ჩაბარებულად ჩაეთვლება კანდიდატს, რომელიც გამოცდებისათვის ემზადება ინსტიტუტში და საინსტიტუტო ტესტირების შედეგად გადალახავს საბოლოო შეფასების მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.

5.8. 5.3 პუნქტში მითითებული კანდიდატები წიგნში - "ბუღალტერი ბიზნესში" - გამოცდას აბარებენ ბაფში.

5.9. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან ბაფის მიერ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, კანდიდატს გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება მემორანდუმში განსაზღვრულ წიგნ(ებ)ში.

6. გამოცდების ჩატარება

6.1. გამოცდები ტარდება წელიწადში ორჯერ: იანვარსა და ივლისში.

6.2. გამოცდების განრიგი და ჩატარების ადგილი წიგნების მიხედვით განისაზღვრება და კანდიდატებს ეცნობება გამოცდამდე ოთხი თვით ადრე. .

6.3. საგამოცდო დროის ხანგრძლივობა შეადგენს:

ა) საწყისი მოდულის წიგნებში 2,15 საათს;

ბ) დანარჩენ წიგნებში 3,5 საათს.

6.4. ერთ საგამოცდო პერიოდში კანდიდატი დაიშვება არა უმეტეს 3 გამოცდაზე.

6.5. კანდიდატი ვალდებულია, გამოცდამდე 15 დღით ადრე პროფესიული განათლების კომიტეტში წერილობით განაცხადოს, გამოცდებზე გასვლის სურვილის შესახებ.

6.6. კანდიდატი გამოცდაზე დაიშვება ბაფის წევრობის მოწმობის წარდგენის შემდეგ. მოწმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კანდიდატი გამოცდაზე არ დაიშვება და გამოუცხადებლად ითვლება.

6.7. გამოცდების ორგანიზება, ჩატარება და შედეგების დამტკიცება პროფესიული განათლების კომიტეტის კომპეტენციაა.

6.8. გამოცდების ჩასატარებლად იქმნება საგამოცდო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, ან მისი რეკომენდაციით კომიტეტის რომელიმე წევრი (საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე).

6.9. პროფესიული განათლების კომიტეტის თავმჯდომარის რეკომენდაციით აღმასრულებელი დირექტორი ნიშნავს ნაშრომების შემფასებელ კომისიას.

6.10. შემფასებელი კომისიის შემადგენლობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კვალიფიციური ტესტების შედგენა, ნაშრომების დროული გასწორება და აუდიტი.

6.11. შემფასებელი კომისიის მოვალეობაა ტესტების შედგენა და გამრავლება, ნაშრომის შეფასება და აუდიტი და გასაჩივრებული ნაშრომის მიმოხილვის შედგენა.

6.12. შემფასებელ კომისიას ხელმძღვანელობს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

6.13. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პასუხისმგებელია შემფასებელი კომისიის მუშაობაზე, მისი წევრების მხრიდან მოვალეობის შესრულების ყველა ეტაპზე კონფიდენციალობის დაცვაზე.

6.14. პროფესიული განათლების კომიტეტი ადგენს გამოცდების ჩატარების წესებს, კანდიდატის გამოცდაზე ქცევის ნორმებს და აკონტროლებს მის შესრულებას.

6.15. გამოცდის ადმინისტრირებას ახორციელებენ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მიერ შერჩეული და აღმასრულებელი დირექტორის მიერ დაქირავებული ადმინისტრატორები.

6.16. ადმინისტრატორების მოვალეობაა გამოცდის წესების დაცვა, ნაშრომების თავმოყრა და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარისათვის გადაცემა.

6.17. გამოცდების დამთავრების შემდეგ კოდირებული ნაშრომები გადაეცემა შემფასებელთა კომისიას.

6.18. ნაშრომების გასწორება და აუდიტი უნდა დასრულდეს გამოცდების დამთავრებიდან 20 დღის ვადაში. აუდიტს ექვემდებარება ნაშრომი, რომლის შეფასება მოექცევა ტესტების მაქსიმალური ქულის 45-55 პროცენტიან შუალედში.

6.19. წარმატებულად მიიჩნევა კანდიდატის ნაშრომი, რომელიც შესაძლო მაქსიმალური ქულიდან დაიმსახურებს მინიმუმ 50 პროცენტს.

6.20. კანდიდატი უფლებამოსილია გაასაჩივროს შეფასების შედეგი მისი გამოცხადებიდან სამი დღის ვადაში. გასაჩივრების შემთხვევაში, კანდიდატს გადაეცემა შემფასებლის მიმოხილვა მის ნაშრომზე. კანდიდატი, რომლის ნაშრომიც არ ჩაითვლება წარმატებულად, შეზღუდული არ არის გამოცდა ჩააბაროს შემდგომ საგამოცდო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასერტიფიკაციო პროგრამის სტრუქტურა იცვლება, საგამოცდო წიგნის შეცვლის გამო. საგამოცდო წიგნის შეცვლისას, ამ წიგნით მომზადებული კანდიდატისათვის, რომელსაც გამოცდა არ ექნება ჩაბარებული წიგნის გაუქმების მომენტისათვის, გაუქმებულ წიგნში გამოცდა ჩატარდება მხოლოდ ერთხელ იმ პერიოდში, როდესაც პირველი გამოცდა დაინიშნება შემცვლელ წიგნში.

6.21. გამოცდების ჩაბარების უფლებას კარგავს კანდიდატი, თუ ბოლო გამოცდიდან 3 წლის განმავლობაში არ ჩააბარებს გამოცდას მორიგ წიგნში, ასეთი კანდიდატი გამოცდაზე დაიშვება, ჯარიმის სახით 100 ლარის გადახდის შემთხვევაში.

6.22. კანდიდატების ნაშრომები და ტესტების ნიმუშები გამოცდების დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში ინახება პროფესიული განათლების კომიტეტში.

7. ჩათვლები

7.1. ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულე-ბისათვის მოქმედებს კანდიდატის გამოცდისგან განთავისუფლების (ჩათვლის) სისტემა.

7.2. კანდიდატის გამოცდისგან განთავისუფლების (ჩათვლის) საფუძველია ბაფსა და შესაბამის უმაღლეს სასწავლებელს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც მოიცავს ჩათვლის ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს.

7.3. გამოცდისგან განთავისუფლების (ჩათვლის) შესახებ უმაღლესი სასწავლებლიდან ბაფში განაცხადის შემოსვლის საფუძველზე, მემორანდუმის გაფორმებამდე, ბაფის განათლების კომიტეტი შეისწავლის უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროგრამის ჩათვლის კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხს.

7.4. ჩათვლის ძირითად კრიტერიუმებად განიხილება:

ა. უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი საგნ(ებ)ის სასწავლო პროგრამის სილაბუსების შესაბამისობა პროფესიული სერტიფიცირების ჩასათვლელი წიგნის თემატიკასთან (70% და მეტი).

ბ. სასწავლო პროცესში გამოყენებული სასწავლო მასალის, ლიტერატურის შესაბამისობა ჩასათვლელი წიგნის შინაარსთან.

გ. უმაღლესი სასწავლებლის საგამოცდო სისტემის გამჭვირვალობა და სანდოობა.

7.5. გამოცდისაგან განთავისუფლებული (ჩათვლის მიმღები) კანდიდატი არ თავისუფლდება ჩათვლილი წიგნის გამოცდის საფასურისაგან.

7.6. ამ მუხლის 7.5 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება F1 წიგნში ჩათვლის მიმღებ კანდიდატებზე.

8. პრაქტიკა და სტაჟირება

8.1. წინასაკვალიფიკაციო პროგრამის მიმდინარეობის პროცესში, კანდიდატმა უნდა მოახდინოს პროფესიონალი ბუღალტრის უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

8.2. კანდიდატის მიერ პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის მანერების გამოსამუშავებლად საკმარისად მიჩნეულია მთავარ სპეციალისტად მუშაობის სამწლიანი გამოცდილება.

8.3. კანდიდატი, რომელიც არ მუშაობს მთავარ სპეციალისტად, ვალდებულია გაფორმდეს სტაჟიორად და გაიაროს მინიმუმ 1- წლიანი სტაჟირება მენტორის მეთვალყურეობით.

8.4. ბაფი კანდიდატს ეხმარება სტაჟირების ობიექტისა და მენტორის შერჩევაში.

8.5. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბაფის არაწევრი, ავტორიტეტული სპეციალისტი.

8.6. სტაჟირებისა და ანგარიშის წარდგენის წესებს ადგენს პროფესიული განათლების კომიტეტი.

9. შუალედური სერტიფიცირება

9.1. პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მინიჭებამდე ხდება კანდიდატის წინსვლის დონეების განსაზღვრა და შუალედური სერტიფიცირება.

9.2. შუალედური სერტიფიცირების გზით, კანდიდატს ენიჭება პირველი დონისა და მეორე დონის სერტიფიკატი.

9.3. პირველი დონის სერტიფიკატი ადასტურებს კანდიდატის ცოდნას საწყისი მოდულის წიგნებში. სერტიფიკატი გაიცემა გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

9.4. მეორე დონის სერტიფიკატის მოსაპოვებლად კანდიდატმა წარმატებით უნდა ჩააბაროს საწყისი და დახელოვნების მოდულის წიგნები. სერტიფიკატი გაიცემა გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

9.5. მეორე დონის სერტიფიკატის მფლობელს შესაძლებელია მიენიჭოს მთავარი ბუღალტრის სტატუსი. ამ სტატუსის მისანიჭებლად პირმა უნდა მოახდინოს სათანადო უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

9.6. უნარ-ჩვევები საკმარისად ჩაითვლება, თუ კანდიდატს გააჩნია მინიმუმ 2 წლის პროფილით მუშაობის სტაჟი ან შესრულებული აქვს სტაჟირების ერთწლიანი ვადა. სერტიფიკატი გაიცემა უნარ-ჩვევების დემონსტრირებიდან ერთი თვის ვადაში.

9.7. მთავარი ბუღალტრის სერტიფიკატის მფლობელ კანდიდატს უფლება აქვს გახდეს ბაფის ნამდვილი წევრი.

10. საბოლოო შეფასება და აღიარება

10.1. წინასაკვალიფიკაციო პროგრამის ბოლოს ხდება კანდიდატის მიერ მიღწეული შედეგების საბოლოო შეფასება.

10.2. საბოლოო შეფასებით ბაფი უნდა დარწმუნდეს, რომ წინასაკვალიფიკაციო პროგრამის მიმდინარეობისას კანდიდატმა შეიძინა პროფესიონალი ბუღალტრის ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი პროფესიული შესაძლებლობა.

10.3. პროფესიული ცოდნის გარდა, პროფესიული შესაძლებლობის სხვა კომპონენტების დემონსტრირებისათვის კანდიდატს მოეთხოვება მინიმუმ სამი წლის მუშაობის გამოცდილება.

10.4. საბოლოო შეფასებისათვის 9.3 პუნქტის მოთხოვნა შესრულებულად ეთვლება იმ კანდიდატს, რომელსაც გააჩნია პროფილით მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება ან პროფილით მუშაობის არანაკლებ 2 წლის მუშაობის გამოცდილება და დამატებით გავლილი აქვს მინიმუმ 1 წლიანი სტაჟირება.

10.5. კანდიდატს, რომელსაც გააჩნია ბაფის მიერ მოთხოვნილი ეკვივალენტური პროფესიული შესაძლებლობა, პროფესიული განათლების კომიტეტის გადაწყვეტილებით მიენიჭება პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი.

10.6. კანდიდატების საბოლოო შეფასების საკითხს პროფესიული განათლების კომიტეტი განიხილავს წელიწადში ორჯერ: თებერვალსა და ივლისში.

10.7. პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი დასტურდება პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატით, რომლის ფორმასა და შინაარსს ადგენს პროფესიული განათლების კომიტეტი.

10.8. პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატი გაიცემა პროფესიული განათლების კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

10.9. სერტიფიკატის მოქმედების ვადა განუსაზღვრელია იმ პირობით, რომ სერტიფიცირებული ბუღალტრები პერიოდულად გაივლიან ბაფში სწავლებას, განგრძობითი პროფესიული განათლების დებულების შესაბამისად. ბაფის წევრის სერტიფიკატის ძალამოსილების შეყვეტის პირობები განისაზღვრება საწევრო და პროფესიული ეთიკის კომიტეტის მიერ.

11. სპეციალური ნორმები

11.1. ამ დებულების ამოქმედებამდე ბაფის მიერ სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრებს უნარჩუნდებათ მინიჭებული სტატუსი, დებულების მიღების მომენტისათვის არსებული სტატუსით.

ACCA-ის პროგრამით ცოდნის გაღრმავების მსურველი ბაფის მიერ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი განთავისუფლებულია გამოცდის ჩაბარებისაგან წიგნებში: „ქართული ბიზნესსამართალი“ და „საგადასახადო დაბეგვრა“.

11.2. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული აუდიტორებისათვის პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მისანიჭებლად დასაშვებია ამ დებულების 5.2 პუნქტით დადგენილისაგან განსხვავებული პროგრამისა და პროფესიული ცოდნის შეფასების წესის შემოღება.

11.3. დასაშვებია სხვა პროფესიული ორგანიზაციის (რეზიდენტი და არარეზიდენტი), ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრისათვის ბაფის პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატის გაცემა, თუ იგი სერტიფიცირებულია ამ დებულებით განსაზღვრული ეკვივალენტური წინასაკვალიფიკაციო პროგრამით.

11.4. დასაშვებია ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისი პროგრამის მქონე სხვა პროფესიული ორგანიზაციაში (მათ შორის ACCA) ჩაბარებული საგნების (წიგნების) ჩათვლა იმ პირებისათვის, რომლებიც ჩაერთვებიან ბაფის სერტიფიცირების პროგრამაში, ამ პროგრამების ეკვივალენტურობის აღიარების პრინციპით.

11.5. პროგრამების ეკვივალენტურობას ადგენს პროფესიული განათლების კომიტეტი. ეკვივალენტურობის უზრუნველსაყოფად პირს "ქართული ბიზნესსამართალისა" და "საგადასახადო დაბეგვრის" გამოცდები ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ქართულ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით. სხვა შემთხვევაში, პირი ვალდებულია დამატებით ჩააბაროს გამოცდა წიგნებში: "ქართული ბიზნესსამართალი" და "საგადასახადო დაბეგვრა".

11.6. პროფესიონალი ბუღალტერი სავალდებულო წესით ექვემდებარება განგრძობით სწავლებას ბაფის მიერ დადგენილი განათლების სტანდარტის საფუძველზე.

11.7. პროფესიონალი ბუღალტერი გაგრძობით სავალდებულო განათლებას ექვემდებარება პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მინიჭების მომდევნო წლიდან.

12. დებულების ძალაში შესვლა